ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომის
ოქმი №78

30 სექტემბერი 2024 წ. ქ. თბილისი. თავისუფლების მოედანი №2
12:00 სთ

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის წევრებიდან სხდომას ესწრებოდნენ:
კომისიის თავმჯდომარე- ირაკლი ხელაძე
კომისიის წევრები- ლევან დავითაშვილი, ლევან არველაძე, თამარ ჩახვაშვილი,აკაკი ალადაშვილი, ავთანდილ ცინცაძე.
მოწვეული სტუმარი:
საფინანსო საქალაქო სამსახური - ლევან მიქავა.
სხდომას თავმჯდომარეობდა ირაკლი ხელაძე.
კომისიის სხდომა უფლებამოსილია.
სხდომის თავმჯდომარე მიესალმა დამსწრე საზოგადოებას და წარუდგინა დღის წესრიგი.
დღის წესრიგი

1. ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამის/ქვეპროგრამის ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ. **№11-0124270852 საკრ.№15-032427066-03 (26/09/24)**

ლევან მიქავას მოხსენებით, მთაწმინდის რაიონის გამგეობა , კონტრაქტორი კომპანიების მიერ შესრულებული სამუშაოების და გაწეული მომსახურების ასანაზღაურებალად გამგეობისთვის მიკუთვნებულ პროგრამებში ითხოვს ცვლილებას.
კონკრეტულად მცირდება მესამე კვარტლის ასიგნებების გეგმა და შესაბამისად იზრდება მეოთხე კვარტლის გეგმა შემდეგ ქვეპროგრამებში:
„გზების მოვლა შეკეთება მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი 01 01 17)- 105 000 ლარი.
„კეთილმოწყობის ღონისძიებები მთაწმინდის რაიონში“ (პროგ/კოდი 02 09 19)- 475 000 ლარი.
უფასო სასადილობით მომსახურება მთაწმინდის რაიონში“(პროგ/კოდი 06 02 14 15)- 30 000 ლარი.
„ომის ვეტერანთა დახმარება მთაწინდის რაიონში“ (პროგ/კოდი 06 02 17 16)- 1000 ლარი.
მცირდება ასევე პროგრამის „დანგრეული სახლების მაცხოვრებელთა საკომპენსაციო თანხები ნაძალადევის რაიონში“ (პროგ/კოდი 06 02 16 16) მესამე კვარტლის ასიგნებების გეგმა- 7180 ლარით.
კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურს, სხვადასხვა მნიშვნელოვანი სპორტული ღონისძიებების ჩასატარებლად და სამსახურს დაქვემდებარებული ა(ა)იპ-ების ხელშეწყობისათვის არ აქვს საკმარისი თანხები და ითხოვს წლიურ გეგმაში ცვლილებას. იზრდება პროგრამის „სპორტული ღონისძიებები“(პროგ/კოდი 08 06 01) ასიგნება 345 000 ლარით (სპორტული ღონისძიების ჩასატარებლად 300 000 ლარი, ა(ა)იპ-ების ხელშეწყობა 45 000 ლარი. შესაბამისად მცირდება „სპორტული დაწესებულებების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება და მშენებლობის“ ქვეპროგრამის (კოდი 08 06 04) პროგრამული დანართით განსაზღვრულ ღონისძიებება ქ. თბილისში, ვარკეთილი-3, 3 მ/რ, კორპ. 319-ის მიმდებარედ, 180-ე საჯარო სკოლასთან მულტიფუნქციური ცენტრის სამშენებლო სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხა 345 000 ლარით.
მომხრე-6
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილებით წარმოდგენილი, „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2024 წლის დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული პროგრამა/ქვეპროგრამების ფარგლებში ასიგნებების კვარტალური გადანაწილების შესახებ“, სადაც ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახური, ასევე მთაწმინდის და ნაძალადევის რაიონული გამგეობები ითხოვს მათზე მიკუთვნებულ პროგრამა/ქვეპროგრამებში ასიგნებების კვარტალურ ცვლილებას, ქონების მართვისა და საფინანსო საბიუჯეტო კომისიის სხდომაზე დამსწრე წევრებთა უმრავლესობამ გადაწყვიტეს:

“ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებების საბიუჯეტო კლასიფიკაციის მუხლებსა და პროგრამულ კოდებს შორის გადანაწილების წესის დამტკიცების შესახებ, ქალაქ თბილისის

მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბრის 30 დეკემბრის #20-85 დადგენილების დანართი 1-ის მე-2 მუხლის მე-7 პუნქტის შესაბამისად მიეცეს თანხმობა საფინანსო საქალაქო სამსახურის წერილების დანართების შესაბამისად პროგრამა/ქვეპროგრამების ასიგნებების კვარტალური გადანაწილების ცვლილებას.

სხდომა გამოცხადდა დასრულებულად.

ქონების მართვის და საფინანსო საბიუჯეტო
კომისიის თავმჯდომარე **ირაკლი ხელაძე**